ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებკონომეფექტი,
დაპროექტება და ექსპერტიზა”

დემონტაჟის პროექტი



ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე №2
საოფისე შენობა

თბილისი
2014 წ

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი,
დაპროექტება და ექსპერტიზა”

ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე №2
საოფისე შენობა

დემონტაჟის პროექტი

დირექტორი რ. მახვილაძე

შეადგინეს ნ. მურჯიკნელი

რ. მახვილაძე

თბილისი

2014 წ

სარჩევი

1	საერთო ნაწილი.	4
2	სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება	5
3	დაშლა-დემონტაჟზე კალენდარული გეგმა თანხების მოთხოვნილების გათვალისწინებით.	9
4.	კალენდარული გრაფიკი სამუშაოთა ცალკეული ეტაპების მიხედვით.	10
5.	მოთხოვნილებები კადრებზე და ადმინისტრაციულ საყოფაცხოვრებო დროებით შენობა-ნაგებობებზე	10
6.	სადემონტაჟო სამუშაოთა შემჭიდროვებულ ვადებში დასრულებაზე კოეფიციენტის გათვალისწინება.	11
7.	მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე, ჟანგბადზე	12
8	მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე	12
9	საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები	13
10	მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია.	16
11	ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა	18
12	მომუშავეთა შრომისა და ელექტროუსაფრთხოების წესების დაცვა	19
13	ეკოლოგია და ბუნების დაცვის საკითხები	21
14	დოპ-ის შედგენისათვის ნორმატული ბაზა	21
15	დემონტაჟის გენგეგმა, ექსპლიკაცია,	23
16	ჭრილი 1-1, მითითებები, პირობიი აღნიშვნები.	24
17	თბილისის სარეგისტრაციო საკადასტრო რუკა.	25
18	საკადასტრო რუკა.	26
19	ამონაწერი საჯარო რეესტრიდან ნაკვეთი 026/004.	27
20	ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურდიული პირების რეესტრიდან.	29
21	ავტოსადგომის სართულის გეგმა.	31
22	პირველი სართულის გეგმა.	32
23	ანტრესოლის გეგმა.	33
24	საპროექტო ჭრილი 1-1.	34
25	ფოტო-მასალა არსებულ მდგომარეობაზე.	35

დემონტაჟის პროექტი
ქ. თბილისი, ლადო გუდიაშვილის ქუჩაზე №2
საოფისე შენობა

1. საერთო ნაწილი

1.1. აღნიშნული ობიექტი მდებარეობს რუსთაველის პროსპექტისა და ლადო გუდიაშვილის ქუჩების დასაწყისშივე გუდიაშვილის შესახვევის კუთხეში. ამ ადგილას ათიოდე წლის წინ ფუნქციონირებდა ლომბარდი.

1.2. მიწის ნაკვეთს გუდიაშვილის შესახვევის მხრიდან ემიჯნება საქართველოს სახელმწიფო ისტორიის მუზეუმის შენობათა კომპლექსი, პუშკინის სკვერის მხრიდან უახლოვდება ამჟამად სადემონტაჟო მდგომარეობაში მყოფ ყოფილ ცეკავშირის შენობას, მოპირდაპირე მხარეს სახელმწიფო ხელოვნების მუზეუმია და მის გვერდით მშენებლობის საჭიროებით შემოღობილი ტერიტორია.

1.3. საოფისე შენობის მშენებლობა შპს "პირამიდა-98'-ის საპროექტო დოკუმენტაციით დაიწყო თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის სექტემბრის № 20/6 ბრძანებით გაცემული ნებართვის საფუძველზე, შემდეგ 2007 წლის 12 ივნისის ბრძანებით №6/488 მოხდა მშენებლობის ვადების გადავადება მისი დასრულებით 2008 წლის 12 ივნისამდე. ამჟამად მიწისზედა ექვსი სართულიდან ამოყვანილია სარდაფის, პირველი და ანტრესოლის სართულების კარკასი მონოლითური რკინაბეტონით, იხილეთ ფოტომასალა და სხვა დოკუმენტები მოპ-ის ბოლო ნაწილში.

1.4. ნაკვეთისა და ობიექტის ამჟამინდელ მესაკუთრედ გვევლინება შპს „ლიზინგი-XXI" ნაცვლად აბრამ ნინიკაშვილისა და ეფრაიმ გურისა, რომელმაც გადაწყვიტა მშენებლობის გაგრძელება და დასრულება, რაზედაც თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურმა

2012 წლის 29 ივნისი ბრძანებით შპს „ლიზინგი ოცდამეერთე” გაუგრძელა მშენებლობის დასრულების ვადები 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

1.5. განვლილ პერიოდში შპს „ლიზინგი ოცდამეერთე”-ს საკუთრებაში გადაეცა მიმდებარე 01.15.04.026/002 ნაკვეთიც ფართობით 1314 მ^2, სადემონტაჟო ობიექტი განთავსებულია ნაკვეთზე 01.05.04.02.026/004 ფართობით 1129 მ^2. ერთობლიობაში ორივე ნაკვეთის ფართობი 2443 კვადრატული მეტრია. აღნიშნულთან დაკავშირებით მეპატრონემ გადაწყვიტა აგებული ნაწილის დემონტაჟი და გაერთიანებულ ადგილზე ახალი პროექტით უფრო გამორჩეული შენობის აგება.

1.6. სადემონტაჟო სამუშაოთა პროექტის შედგენას მშენებლობით დაუმთავრებელი შენობის დემონტაჟზე საფუძვლად დაედო:

– დავალება დემონტაჟის პროექტის შედგენაზე;

– მესაკუთრის „ლიზინგი-XXI” უფლებრივი დოკუმენტების სია;

– თბილისის სამსახურთან შეთანხმებული არქიტექტურულ-კონსტრუქციული ნახაზები;

– საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა;

– საპროექტო ტერიტორიის სახელოვნებათმცოდნეო ანალიტიკური ანალიზი;

– ობიექტის ადგილზე დათვალიერება.

– არსებული მდგომარეობის ფოტო-ფიქსაცია;

2. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

2.1. მშენებლობის ქვეშ მოქცეული მიწის ნაკვეთის ფართობი 1129 კვადრატული მეტრია. რელიეფი დაქანებულია რუსთაველის გამზირის მხრიდან გუდიაშვილის ქუჩისაკენ 412,2-დან 414 მეტრი ნიშნულების ფარგლებში.

2.2. დაპროექტებული შენობა მორგებულია ნაკვეთის გეომეტრიას, რის გამოც გეგმაში ტრაპეციული ფორმისაა გვერდების ზომებით 1-8 ღერძებში 47,93 მეტრი, 1^{I}-8 ღერძებში 51,76 მეტრი, ა-ვ ღერძებში 1 ღერძის გასწვრივ 20, ხოლო 8 ღერძის გასწვრივ 12,9 მეტრი.

2.3. პროექტით შენობა ექვსსართულიანია ანტრესოლითა და სარდაფით. მიწის დონიდან შენობის სიმაღლე 18,95 მეტრია, კიბის უჯრედის მონაკვეთში ღერძებში 1-2 და გ-დ 21 მეტრი. „დ" ღერძის მიმდებარედ ოთხი სართულია, იხილეთ ჭრილი 1-1 სამშენებლო გენგეგმაზე.

2.4. დამტკიცებული საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, (იხილეთ თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 და 2007 წლის შესაბამისად 10 იანვრისა და 12 ივნისის ბრძანებები №20/6 და 6/488) შენობის ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

– მიწის ნაკვეთის ფართი – 1129 მ^2;

– მოშენების ფართი – 1059,17 მ^2;

– ავტოფარეხების ფართი – 832,77 მ^2;

– სასარგებლო ფართი – 3346,37 მ^2;

– დამხმარე ფართი – 1251,97 მ^2;

– საზაფხულო ფართი – 334,27 მ^2;

– შენობის მთლიანი ფართი – 5765,3 მ^2;

– სამშენებლო მოცულობა – 19382,49 მ^3.

2.5. როგორც პუნქტში 1.3. აღინიშნა ამჟამად ამოყვანილია მიწაში ჩაღრმავებული ავტოსადგომი, მიწისზედა პირველი და ანტრესოლის სართულების კარკასის მზიდი მონოლითური რკინაბეტონის კონსტრუქციები, ასევე მიწაში ჩაღრმავებული სართულის კედლები, რომელთა ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

– მიწის ნაკვეთის ფართი – 1129 მ^2;

– მოშენების ფართი – 1059,17 მ^2;

– მიწაში ჩაღრმავებული ავტოსადგომის ფართი – 941,13 მ^2;

– არქიტექტურული ნახაზების მიხედვით I სართულის ფართია – 987,67 მ^2;

– ანტრესოლის საერთო ფართი „მეორე სინათლის" ფართის გამოკლებით – 868.34 მ^2;

– სადემონტაჟო მშენებლობით დაუმთავრებელი შენობის საერთო ფართობი – 2797.14 მ^2;

– მათ შორის 0.00 ნიშნულს ქვევით – 941.13 მ^2;

– შენობის სადემონტაჟო ნაწილის კონსტრუქციული სიმაღლე – 6,9 მეტრია;

- 0,00 ნიშნულს ქვევით – -3,9 მეტრი
- 0,00 ნიშნულს ზევით – 3,0 მეტრი.

2.6. სადემონტაჟო სამუშაოთა პროექტის შედგენის საჭიროებით დაშვებულია საორიენტაციო ღირებულებებით ხელმძღვანელობა. სარდაფის, პირველი სართულისა და ანტრესოლის სადემონტაჟო ფართობი შეადგენს 2797.14 მ^2. შენობის დასაშლელი კარკასის კონსტრუქციები ამოყვანილია მონოლითურ რკინაბეტონში. მათი დაშლა-დემონტაჟი საჭიროებს საჭრელი აპარატურის, სანგრევი ჩაქუჩებისა და მუდმივი დგომით მობილური ამწეების გამოყენებას სამშენებლო ნაშალისა და ნარჩენების იმავდროული გატანით, რაც სოლიდური თანხების გათვალისწინებას საჭიროებს. ამიტომ დამკვეთი გეგმავს შენობის 1 მ^2 ფართობის დაშლაზე 60 ლარის ასიგნებას. ფართობიდან გამომდინარე საჭირო გახდება 167828,4 ლარის ანუ 167.8 ათასი ლარის გათვალისწინება.

2.7. სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია საბაზრო ურთიერთობათა პირობებში განსაზღვრავს მშენებლობის წინასწარ ღირებულებას და არ წარმოადგენს დამკვეთსა და მოიჯარეს შორის გადახდის საშუა-

ლებას. მათ შორის ანგარიშსწორება ხდება ფაქტიური დანახარჯების მიხედვით სათანადო დოკუმენტაციის წარდგენით. ეს მოსალოდნელიცაა ვინაიდან გეგმიური საინფლაციო მოვლენები, მტკივნეულად აისახება სამშენებლო მასალა-ნაკეთობების, განსაკუთრებით არმატურის გაძვირებაზე შესაძლებელია ზემოთ მოყვანილ ღირებულებებში მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს.

2.8. სადემონტაჟო სამუშაოთა განხორციელებასთან და წარმართვასთან დაკავშირებული ტექნიკური საკითხები, გაანგარიშებები და რეკომენდაციები ჩამოყალიბებული და განმარტებულია დემონტაჟის პროექტის შესაბამის თავებში.

2.9. სადემონტაჟი სამუშაოთა დაწყება-დასრულების პერიოდი უნდა მოიცავდეს 3 თვეს, რაზედაც შედგენილია სადემონტაჟო სამუშაოთა განხორციელების ფინანსიური (თავი 3) და ეტაპობრივი კალენდარული გრაფიკები (თავი 4).

3. შენობა-ნაგებობათა დაშლა-დემონტაჟზე კალენდარული გეგმა თანხების მოთხოვნილების გათვალისწინებით

№	სამუშაოთა დასახელება	ღირებულება ათასი ლარი	თანხებზე მოთხოვნილება ათ.ლარებში					
			თვეები და სამუშაო დღეები					
			პირველი		მეორე		მესამე	
			15	30	45	60	75	90
1.	ანტრესოლის დაშლა	40	16.8	23.2				
2.	I სართულის რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა	50		1.9	33.6	14.5		
3.	მიწაში ჩაღრმავებული რკინაბეტონის კედლების, კარკასის კონსტრუქციების და საძირკვლების დაშლა-დემონტაჟი	77.8				19.1	33.6	25.1
4.	სადემონტაჟო სამუშაოთა ღირებულება	167.8	16.8	25.1	33.6	33.6	33.6	25.1
5.	გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯები, დღგ 25%	42	4.2	6.3	8.4	8.4	8.4	6.3
6.	მთლიანი ღირებულება	209.8	21	31.4	42	42	42	31.4
7.	თანხების პროცენტული განაწილება თვეებში	100 %	10%	15%	20%	20%	20%	15%

4. ქ. თბილისში, ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე №2 კალენდარული გრაფიკი სამუშაოთა ცალკეული ეტაპების მიხედვით

სამუშაოთა ხანგრძლივობა 90 დღე

№		სამუშაო დღეები	სამუშაო თვეები და დღეები					
			პირველი		მეორე		მესამე	
			15	30	45	60	75	90
1	ანტრესოლის დაშლა	30	30					
2	I სართულის რკინაბეტონის კონსტრუქციების დაშლა	40			40			
3	მიწაში ჩაღრმავებული რკინა-ბეტონის კედლების, კარკასის კონსტრუქციების და საძირკვლების დაშლა-დემონტაჟი	50					50	
4	სამშენებლო ნაგვის შეგროვება, გატანა და ტერიტორიის მოსწორება.	90	ავტოტრანსპორტის საჭიროების მიხედვით					

5. მოთხოვნილება კადრებზე და დროებით შენობა-ნაგებობებზე

5.1 მომუშავეთა ანგარიში წარმოებს მუშათა წლიური გამომუშავების მიხედვით. ცხადია შენობათა დაშლა-დემონტაჟის პერიოდებში მომუშავეთა რაოდენობა სხვადასხვა იქნება, რაც გამოსახულია კალენდარულ გეგმაზე თანხების თვიური ცვალებადობის მიხედვით. დაშლით სამუშაოებზე მოწვეული სამშენებლო ფირმის საგეგმო-საწარმოო მონაცემებით მუშის საშუალო დღიური გამომუშავება შეადგენს 50 ლარს, თვიური 30 სამუშაო დღის გათვალისწინებით 1500 ლარს, აღნიშნულიდან გამომდინარე სამი თვის პერიოდში საშუალოდ დღიურად დაგვჭირდება 167800:(1500X3)=37 მუშაკი. მათ შორის იქნება ერთი ინჟინერი, ერთი ტექნიკოსი, და 35 მუშა. მათზე ვანგარიშობთ:

5.2 საყოფაცხოვრებო სათავსებს

– გასახდელებს –37X0,7= 25,9 კვ. მეტრი;

– საშხაპეს – 37X0.082= 3,03 კვ. მეტრი;
– ტუალეტი – 37X0,065= 2,4კვ. მეტრი

სულ გვჭირდება 31,33 კვ. მეტრი.

5.3 კანტორა ანგარიშდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალისა და საშუალო პერსონალის მიხედვით, ჩვენს შემთხვევაში 2 კაცზე სულ საჭიროა 10+2X4=18 კვ.მეტრი.

5.4. შენობის დაშლის პერიოდში ინჟინრისა და მუშა პერსონალისათვის გამოიყენეთ ადგილე არსებული ვაგონები რომლებიც შემოტანილია მშენებლობის საჭიროებით.

6. სადემონტაჟო სამუშაოთა შემჭიდროვებულ ვადებში დასრულებაზე კოეფიციენტის გათვალისწინება

6.1. შენობა-ნაგებობათა დაშლის პერიოდში წარმოიშობა მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე, ჟანგბადზე და სამშენებლო ავტოტრანსპორტზე. მათი გათვლა წარმოებს სნ-73 ინსტრუქციის მიხედვით სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ერთ მილიონ მანეთ დანახარჯზე წლიური შესასრულებელი პროგრამის მიხედვით.

6.2. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულება დაშლაზე შეადგენს 167,8 ათას ლარს ანუ 0,17 მლნ. ლარს. როგორც წესი ანგარიში წარმოებს სამუშაოთა ღირებულებით მაქსიმალურად ერთი წლის დატვირთულ პერიოდზე. ჩვენთან სამუშაოთა დაწყება-დასრულება გათვალისწინებულია სამი თვის პერიოდში, რის გამოც უნდა გავითვალისწინოთ კოეფიციენტი k=12:3=4, რაც ნიშნავს სამუშაოთა შესრულებას შემჭიდროვებულ ვადებში.

7. მოთხოვნილებები ენერგორესურსებზე, წყალზე, კომპრესორებზე და ჟანგბადზე

7.1 მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე

0,78X140X0,17X3=55,69 კვტ

7.2 მოთხოვნილება წყალზე

0,93X0,24X0,17X3=0,11 ლ/წმ

7.3 მოთხოვნილება კომპრესორზე

0,93X0,32X0,17X3=0,15=1 ცალი

7.4 მოთხოვნილება ჟანგბადზე

0,93X4400X0,17X3=2086,92 მ³/საათში

ფორმულებში 0,78; 0,93 ტერიტორიალური კოეფიციენტია, ხოლო 140; 0,24; 0,32 და 4400 ერთ მილიონ მანეთზე სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე ნორმატული დანახარჯები.

7.5 მოთხოვნილებები ელექტროენერგიაზე და წყალზე იფარება საქალაქო ქსელებიდან საექსპლოატაციო ორგანიზაციებთან დადებული ხელშეკრულება-კონტაქტების საფუძველზე.

8. მოთხოვნილება სამშენებლო ავტოტრანსპორტზე

ავტოტრანსპორტიც ანგარიშდება 1 მლნ. ლარ სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების წლიური მოცულობის მიხედვით.

ჩვენს შემთხვევაში საჭიროა:

8.1. თვითმცლელი მანქანები 0,17X11,62X3=5,92=6 ცალი დღეში

8.2. ძარიანი მანქანები 0,17X8,57X3=3,37=3 ცალი დღეში

8.3. სპეცავტოტრანსპორტი დაუშლელი ნაკეთობების გასატანად

0,17X7,08X3=3,61 = 4 ცალი დღეში

8.4. თანამედროვე პირობებში მანქანების დაქირავება წარმოებს მოთხოვნილების მომენტისათვის, ამიტომ მათი რაოდენობების წინასწარი ყოველდღიური დაგეგმვა აუცილებელი არ არის.

9. საინჟინრო მომზადება და მათი წარმართვის ცალკეული ეტაპები

9.1. ჩვენს მიერ შედგენილი დოპ-ი ითვალისწინებს სნ და 3.01-0I-85 „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია" მოთხოვნილებებს მშენებლობაზე ხანძარსაწინააღმდეგო და მშენებლობის უსაფრთხო წარმოების ღონისძიებათა დაცვით.

9.2. სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი შესრულებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების, წესებისა და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ხანძარფეთქებადი უსაფრთხოების) შესაბამისობით.

9.3. სამუშაოთა დაწყება დაიშვება ქალაქის მერიის სამსახურიდან სათანადო ნებართვის აღების შემდეგ. ქუჩისა და სამეზობლო გვერდების მხრიდან აუცილებელია დასაშლელი ტერიტორიის შემოკავება დროებითი ხის ან მავთულბადოვანი ღობით.

9.4. არსებული შენობებისა და ნაგებობების დაშლის წინ საქალაქო კომუნიკაციების სამსახურებთან შეთანხმებითა და მათი მეთვალყურეობის ქვეშ უნდა მოხდეს წყალსადენის, კანალიზაციის, ელექტროკაბელის, გაზსადენისა და სხვათა ჩახსნა საქალაქო ქსელებიდან. საჭიროა სათანადო აქტის გაფორმებაც.

9.5. სამშენებლო წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია მშენებლობის წარმართვა ცხრილში ჩამონათვალი მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარებით.

9.6. შენობა-ნაგებობათა დაშლის სამუშაოთა წარმართვა უნდა მოხდეს მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისობით. 1987 წ. მშენებლობის სამინისტრომ ქართულ ენაზე გამოსცა

„კრებული სამახსოვრო „სამშენებლო წარმოების ნორმები და წესები-ამონაკრები მომქმედი ნორმატული დოკუმენტებიდან.

9.7. ქვემოთ ჩამოთვლილია მომქმედი ნორმებია და წესები, რომლე ბითაც უნდა იხელმძღვანელოს სამშებლო ფირმამ სამშენებლო –

- სნ და წ 111-4-80 ‘„უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“;
- სახანძრო უსაფრთხოების წესები სამშენებლო-სამონტჟო სამუშაოთა წარმოებისდროს;
- სნ და წ 1.06.05-85 „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციების მიერ საავტორო ზედამხედველობა“;
- ინსტრუქცია „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხის შეფასების შესახებ“;
- ინსტრუქცია „მშენებლობით დამთავრებული ობიექტების ექსპლუატაციაში მიღება.

9.8. აგრეთვე საჭიროა საქართველოს პარლამენტის მიერ მირებული შემდეგი კანონებით ხელმძღვანელობაც:

– გარემოს დაცვის თაობაზე, 1996 წელი;
– წყლის გამოყენების შესახებ, 1997 წელი;
– მავნე ქიმიური ელემენტები, მათი კლასიფიკაცია და უსაფრთხოება, 1998 წელი.
– ქალაქ თბილისის მთავრობის დადგენილება №12.18.243 (16.05.2006 წელი) ქ. თბილისის ტერიტორიაზე სამშენებლო მოედნების მოწესრიგების, ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის, მიწის გრუნტისა და სხვა სამშენებლო მასალების გადაზიდვის დროს გზის სავალი ნაწილების დაბინძურების აღსაკვეთი ღონისძიების შესახებ.

9.9 გარემოს დაცვის შესახებ კანონი განსაზღვრავს ჰაერის დაბინძურების, წყლის დაბინძურების, წყლის აღებისა და ჩაშვების,

ნახაზების უტილიზაციის, ხმაურისა და სხვათა შესახებ საკითხებს, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა შესრულების პროცესში.

9.10. ასევე კანონით წყლის შესახებ განსაზღვრულია ზედაპირული, მიწისქვეშა და სანაპირი წყლების აღება და ჩაშვების ლიცენზიებთან დაკავშირებული საკითხები.

9.11. კანონი ატმოსფერული ჰაერის შესახებ ითვალისწინებს ჰაერის კონტროლსა და დაბინძურების შეზღუდვის მეთოდებს, ჰაერის ხარისხიანობის სტანდარტებს და განსაზღვრავს დასაშვებ ზღვრებს სამშენებლო საქმიანობის პირობებში.

9.12. მავნე ქიმიური ელემენტების შესახებ კანონი მოიცავს მავნე ნივთიერებათა კლასიფიკაციას და მათ უსაფრთხო მოხმარების საკითხებს. მაგალითად საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა აუცილებელია სპეციალური ბუნკერებით, ხოლო სამშენებლო ნაგვისა დამოკიდებულია სამშენებლო – სარეკონსტრუქციო სამუშაოების მტვერშემცველობაზე. თუ სამშენებლო ნაგავი მტვერის გაბნევის საშიშროებას მოიცავს თვითმცლელ მანქანებზე დაყრის შემდეგ მას აუცილებელია გადაეფაროს სახურავი ბრეზენტისაგან ან მყარი მასალისაგან.

9.13. დემონტაჟის ცალკეულ ეტაპზე და მათ წარმართვაზე უფრო დეტალურად იხილეთ მომდევნო თავებში.

9.14. დემონტაჟი ხორციელდება საავტორო და ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ. დახურული სამუშაოების მიღება ავტორების კონტროლის ქვეშ დადგენილი წესით აუცილებელია.

10. მოსამზადებელი სამუშაოები და დასაშლელ სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია

10.1. ტერიტორია ამჟამად შემოკავებულია დროებითი ღობით, დასაშლელ-სადემონტაჟო შენობაში ამჟამად შიდა საინჟინრო კომუნიკაციები მოწყობილი არ არის, რის გამოც საქალაქო საინჟინრო ქსელების ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან საჭირო გახდება აღნიშნულის დამადასტურებელი სათანადო აქტების გაფორმება.

10.2. ცხადია დაშლა-სადემონტაჟო სამუშაოები უნდა წარიმართოს ამჟამად არსებული დროებითი ღობის შენარჩუნებით და მისი დაზიანებულ-გამონგრეული ადგილების აღდგენით.

10.3. ობიექტი საჭიროა აღიჭურვოს დაშლითი სამუშაოების ჩასატარებლად ცხრილში ჩამოთვლილი სამშენებლო მექანიზმებითა და ინსტრუმენტებით.

10.4. სამუშაოთა წარმართვა რეკომენდებულია ზედა მაღალი ნიშნულების გუდიაშვილის შესახვევის მხრიდან. აუცილებლობის შემთხვევაში საგზაო პოლიციასთან შეთანხმებით მობილური ამწის დაყენება შეიძლება დაგჭირდეთ გუდუიაშვილის ქუჩაზეც უფრო ღამის საათებში.

10.5. ამჟამად შენობის მხოლდ კარკასია ამოყვანილი ავტოსადგომის, პირველი სართულისა და ანტრესოლის დონეზე. საჭირო გახდება სანგრევი ჩაქუჩებისა და თანამედროვე დარტყმითი ინსტრუმენტიარაღების გამოყენება. არსებული სახლების სიახლოვემ შესაძლებელია მათში რხევითი პროცესები გამოიწვიოს. საჭიროა სიფრთხილე სამუშაოთა უსაფრთხო წარმოების წესების დაცვით. დადებით შედეგს შესაძლებელია მიაღწიოთ ერთდროულად ერთი სანგრევი ჩაქუჩით მუშაობის პირობებში. ამავე დროს სვეტების მაღლივი ნაწილების დასაშლელად უნდა მოიმარაგოთ სადგამი მაგიდები.

10.6. რკინაბეტონის მონოლითური გადახურვის ფილების დაშლა უნდა მოხდეს მასზე ზევიდან მოძრაობის და სამშენებლო ნარჩენების ძირა სართულებზე ჩამოყრით, საჭიროა ხის ფიცარნაგების გამოყენება, რათა არმატურის ბადეებში არ მოხდეს მომუშავეთა ფეხის ჩაჭედვა, არმატურის ბადეების ბეტონისაგან გამოთავისუფლების შემდეგ უნდა მოხდეს მათი ჩაჭრა და ჩამოშვება ძირა სართულის იატაკზე, ამ დროს სასურველია ბადის დაჭერა ამწის კაუჭებით, რათა არ მოხდეს მათი უნებლიე ჩამოვარდნა და მომუშავეთა დაზიანება.

10.7. მონოლითური რკინაბეტონის სვეტებს სადემონტაჟო სამუშაოთა დაწყების წინ თავებში უნდა ჩაებას ამწის კაუჭები, მოხდეს მათი ჩაჭრა ძირში, ისევე როგორც რიგელებისა, აიწიოს და ჩამოეშვას ავტომანქანების ძარებში.

10.8. რკინაბეტონის მონოლითური კონსტრუქციების (სვეტები, რიგელები, გადახურვის ფილების) დაშლა საჭიროებს სანგრევ ჩაქუჩებთან ერთად ხელის პერფორატორების, პნევმოსაბურღების, თექჩაქუჩების, დისკოსებური ხერხებისა და სხვა თანამედროვე სამშენებლო მანქანა-იარაღების გამოყენებას. ამავე დროს არ უნდა შეიქმნას ძირში გადაჭრილი, მაგალითად რკინაბეტონის სვეტის, სართულიდან გადავარდნის საშიშროება, ამიტომ საჭიროა მობილური ამწის კაუჭებით მათი დაჭერა ჩაჭრის პროცესში და ჩამოშვება მიწაზე.

10.9. ბოლო ეტაპია რკინაბეტონით ნაგები სარდაფის კედლების და საძირკვლების დაშლას პნევმატიური სანგრევი ჩაქუჩებით, შემდეგ კი უნდა მოხდეს ტერიტორიის გამოთავისუფლება სამშენებლო ნაგვისაგან.

10.10. დაშლის სამუშაოთა საწყის ეტაპზე ეზოს ტერიტორიაზე მისი სივიწროვისა და მცირე ფართის გამო სამშენებლო ნაგვის შეგროვება გაძნელებული იქნება, რის გამოც სასურველია სამშენებლო ნარჩენები და ნაგავი დაშლის პერიოდშივე დაიტვირთოს თვითმცლელებზე, ძარიან ან სპეცმანქანებზე და მოკლე პერიოდშივე მოხდეს მათი გატანა.

10.11. სამშენებლო ნარჩენების ჩამოშვება სართულებიდან ამწეების გამოყენების შემთხვევაში უნდა მოხდეს ისრის უსაფრთხო მოტრიალებით განაშენიანების მიმართ, ხოლო ნაშალი ნარჩენებისა კი კონუსური ტიპის ნაგავგამტარებში გავლით.

10.12. შენობის დაშლის პერიოდში აუცილებელია დაშლით-სადემონტაჟო სამუშაოები განხორციელდეს მომქმედი სამშენებლო ნორმების, წესების და სახელმწიფო სტანდარტების (მათ შორის ელექტრო, ხანძარფეთქებადი და შრომის უსაფრთხოების) შესაბამისობით ტექნიკური ზედამხედველობის ქვეშ.

11. ამწეებისა და მანქანა-მექანიზმების შერჩევა

11.1. დასაშლელ სამუშაოთა წარმოების უწყვეტი რითმისა და ტექნო-ლოგიურობის უზრუნველსაყოფად გარდა ამწე-მექანიზმებისა საჭიროა სხვა მანქანა-მექანიზმები, დანადგარები და ინსტრუმენტები, რომელთა რეკომენდებული ჩამონათვალი მოცემულია ცხრილში. ცხადია ცსრილით რეკომენდებული მანქანა-დანადგარები და ინსტრუმენტ-მოწყობილობები შესაძლოა შეიცვალოს ანალოგიურით ან უფრო თანამედროვეთი შენობის დამშლელი ფირმის შესაძლებლობიდან და ტექნიკური აღჭურვილობიდან გამომდინარე.

ცხრილი

№	დასახელება	მარკა	რაო დენ. ცალი
1	2	3	4
1.	„ბოლგარკის“ ტიპის ან უფრო თანამედროვე კონსტრუქციების საჭრელი მოწყობილობა	კომპლ.	1
2.	პნევმატური ინსტრუმენტი: საბურღი, ხრახნდამჭერი და სხვა	კომპლ.	2
3.	გადასატანი კომპრესორი	CO-45	1

4.	სანგრევი ჩაქუჩები	-	3
5.	თექ-ჩაქუჩები		3
6.	დისკოსებური ელექტრო ხერხი		3
7.	სამშენებლო ამწე საავტომობილო ან მუხლუხა სვლაზე		1
8.	ავტოგენური საჭრელი აპარატები	კომპლ.	3
9.	თვითმცველი, ძარიანი და სპეცავტოტრანსპორტი	სხვადა-სხვა	3
10.	სხვადასხვა დანიშნულების ხელის მოწყობილობა-ინსტრუმენტები: ნიჩბები, ბარები, ლომები, წერაქვები და სხვა	კომპ	4
11.	ლითონის ან ხის მაგიდა-სადგომები, ზომით 1X2 და სიმაღლით 2 მეტრი	ცალი	2
12.	ბეტონის საბურღ-სანგრევი ხელის აპარატი	НП-4602	1
13.	პერფორატორები	П-47	1
14.	ჰიდრავლიკური დომკრატი, ტვირთამწეობით 10ტ-მდე	ДГ-100-2	1
15.	ხელის უნივერსალური ჯალამბარი	ТП-66Е	1
16.	ვიბროსამსხვრევი	С-47614	1
17.	ელექტრომაგნიტური ბურღი	კომპლ.	1
18.	ხელით საგორავი ერთთვალა ურიკები	-	2

12. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების წესების დაცვის თაობაზე

12.1. მომუშავთა შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვა შენობის დაშლის ცალკეულ ეტაპებზე აუცილებელია სნ და წ III-4-80* „უსაფრ-თხოების ტექნიკა მშენებლობაზე” და სხვა ნორმატულ-საკანონმდებლო დოკუმენტების შესაბამისობით. მათგან ყურადღებას ვამახვილებთ შემდეგზე:

12.2. სამუშაო ადგილები მუშაობის პირობებისა და ტექნილოგი-ურობის გათვალისწინებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს კოლექ-ტიური დაცვისა და სიგნალიზაციის საშუალებებით.

12.3. ელექტროუსაფრთხოების წესები ჩამოყალიბებულია სახელმწიფო სტანდარტში 12.1.013-88. ელექტროკარადა ყოველთვის უნდა იყოს ჩაკეტილ მდგომარეობაში, ელექტროკაბელები, ელექტროსადენები და ელექტრომოწყობილობები კი იზოლირებული. გაშიშვლებული სადენების გამოყენება აკრძალულია.

12.4. აუცილებელი პირობაა: კონსტრუქციათა დაშლის პერიოდში მის სიახლოვეს 6 მეტრის რადიუსით არ უნდა იმყოფებოდეს ჩაჭრის ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშა-მოსამსახურეები.

12.5. სამუშაოთა წარმოების უწყვეტობისა და ტექნოლოგიურობის, აგრეთვე შრომის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ცხრილში მოცემული და ჩვენს მიერ რეკომენდებული მანქანა-მექანიზმებით, ინსტრუმენტებითა და დანადგარ-სამარჯვებით აღჭურვა. ცხადია შესაძლებელია მათი შეცვლაც უფრო თანამედროვეთი და სხვა მექანიზმების გამოყენებაც.

12.6. დაშლით ოპერაციებში დასაქმებული მუშაკები დაცული უნდა იყვნენ თავის დამცავი ჩაფხუტებით (კასკებით).

12.7. დაუშვებელია ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დატოვება ჩართულ მდგომარეობაში ზედამხედველობის გარეშე. ცხადია მათი ტექნიკური მომსახურეობაც უნდა მოხდეს ძრავის გამორთვის შემდეგ.

12.8. დასაშლელ სამუშაოებზე დასაქმებულმა ყველა მუშაკმა (როგორც მუშამ, ასევე მოსამსახურემ) უნდა შეისწავლოს შრომის უსაფრთხოების წესები, გაიაროს ინსტრუქტაჟი, ჩააბაროს გამოცდა სპეციალურ ჟურნალში ხელმოწერების დაფიქსირები.

12.9. სამშენებლო ამწის მუშაობის პერიოდში მის სიახლოვეს იკრძალება სადემონტაჟო ოპერაციებში დაუსაქმებელი მუშაკების ყოფნა, ამავე დროს თუ სადემონტაჟო კონსტრუქცია ამწის მოქმედების უსაფრთხოების ფარგლებში დროებითი ღობის გარეთ

ხდება აუცილებელია ფეხიტ მოსიარულეთა გაფრთხილება მესიგნალის მიერ მათი დროებითი შეჩერებით სამუშაო ოპერაციის დასრულებამდე, ასეთივე ყურადღება უნდა მიექცეს მოძრავ სატრანსპორტო საშუალებებსაც მძღოლების გაფრთხილებით.

13. ბუნების დაცვითი და ჰაერის გაბინძურების საწინააღმდეგო ღონისძიებები

13.1 გარემოს დაცვის სამსახურის ნებართვის გარეშე იკრძალება მრავალწლიანი ხეებისა და ნარგავების მოჭრა, ამოძირკვა ან განადგურება.

13.2 კედლების, ტიხრების, იატაკების დაშლის პროცესში მოსალოდნელია მტვრის გაფანტვა გარე სივრცეში, რის გამოც შენობას უნდა ჩამოეფაროს ფარდა ანდა სამუშაოები განხორციელდეს დახურულ სივრცეში ვენტილაციის მოწყობით.

13.3. დაუშვებელია არსებული საკანალიზაციო ჭების დანაგვიანება სამშენებლო ნარჩენებით.

13.4. სამშენებლო ნაგვის ტრანსპორტირება ფხვიერ მდგომარეობაში რეკომენდებული არ არის. ავტომანქანების ძარებში ჩატვირთვის შემდეგ მათი ზედაპირი დაინამოს.

14. დაშლით სამუშაოთა წარმოებაზე ნორმატული ლიტერატურა

14.1. კრებული – სამახსოვრო ქართულ ენაზე – მომქმედი სამშენებლო წარმოების ნორმებისა და წესების ამონაკრები, ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროს გამოცემა, თბილისი 1987 წ.

14.2. რ. მახვილაძე, დ. ბუჩუკური, ი. გოგოლაძე, დ. ჭელიშვილი, ნ. ქარქაშაძე – საქალაქო მეურნეობის ეკონომიკა და მენეჯმენტი, თბილისი, 2007 წ

14.3. შ. ბაქანიძე, მ. ლორთქიფანიძე , რ. მახვილაძე – ტექნიკური ზედამხედველობა მშენებლობაზე. თბილისი, 2006 წ.

14.4. СНиП 3.01.01.85* ,,Организация строительного производства”, М. 1989г.

14.5. СНиП Ⅱ-4-80* ,,Техника безопасности на строительстве” , М. 1988г

14.6. Восстановление здании после землетрясения, М.1986г.

14.7. Л. Зайцев, И. Улитенко ,,Строительные стреловые самоходные краны”, М. 1984г.

14.8. Р. Каграмонов, Ш. Мачабели ,,Монтаж конструкций сборных многоэтажных гражданских и промышленных зданий”. М. 1987 г.

14.9. Справочник мастера – строителя , М. 1989 г.

სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა

მ 1 : 500



ექსპლიკაცია: 1. მშენებლობაში მყოფი საოფისე შენობა, ამჟამად ამოყვანილია სარდაფი, პირველი სართულის და ანტრესოლის კარკასის კონსტრუქციები მონოლითური რკინაბეტონით დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტით უნდა მოხდეს მათი დაშლა; 2. არსებული განაშენიანება; 3. ავტოჭიშკარი გუდიაშვილის ქუჩის მხრიდან 4. ავტოშესასვლელი სამარშუტე ტაქსების სადგომის მხრიდან; 5. სამშენებლო ნარჩენების, ნაშალის და ნაგვის შესაგროვებელი დროებითი ადგილები; 6. არსებული დროებითი ღობე; 7. სათადარიგო ავტოჭიშკარი; 8. მობილური ამწის დგომის ზონა საჭიროების მიხედვით; 9. აუცილებლობის შემთხვევაში მობილური ამწის [illegible] გუდიაშვილის ქუჩაზე საგზაო პოლიციასთან შეთანხმებით უფ[illegible] საათებში

მითითება ჭრილი 1-1 და პირობითი აღნიშვნები იხილეთ მომდევნო გვერდზე

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომექსპერტი, დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქუჩაზე საოფისე შენობა	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მ
შეადგინეს	ნ. მურჯიკნელი		სადემონტაჟო სამუშაოთა გენგეგმა, ექსპლიკაცია	ფურც. 23
	რ. მახვილაძე			2014

ჭრილი I-I მ 1 : 500



მითითებები

1. დემონტაჟის გენგეგმა იხილეთ წინა გვერდზე
2. რეკომენდაციები სადემონტაჟო სამუშაოთა თაობაზე ტექსტობრივ ნაწილშია;
3. სამუშაოები აუცილებელია წარიმართოს შრომის, ელექტრო, ხანძარსაფრთხოებისა და ბუნების დაცვითი ღონისძიების გათვალისწინებით საქართველოს სამშენებლო კანონმდებლობის შესაბამისობით

პირობითი აღნიშვნები

- სადემონტაჟო ობიექტი
- მიმდებარე განაშენიანება
- სამშენებლო ნარჩენების შესაგროვებელი ადგილები
- დროებითი ღობე
- ამწის სახიფათო ზონის მანიშნებელი ფირნიშები ღამით განათდეს
- ავტოჭიშკარი

საქართველო. ინდივიდუალური მეწარმე "რევაზ მახვილაძე" GEORGIA. INDIVIDUAL ENTERPRISE "REVAZ MAKHVILADZE"

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენებკონომეფექტი, დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქუჩაზე №2 საფისე შენობა	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინეს	ნ. მურჯიკნელი		ჭრილი I-I, პირობითი აღნიშვნები, მითითებები	ფურც. 24
	რ. მახვილაძე			2014

თბილისის სარეგისტრაციო ზონის საკადასტრო რუკა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ინფორმაცია უძრავ ნივთებზე საკონტაქტო პირი პირველადი რეგისტრაცია დახმარება

შედეგები

რუკას

ნავიგაცია

ხედი

ავტორიზაცია

თქვენ ხართ 3162013-ე ვიზიტორი



სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი №250.013.003.166
ფორმა იუსტიციის სამინისტროს მიერ შეტანილია ნორმატიული აქტების სახელმწიფო რეესტრში

საკადასტრო რუკა

მასშტაბი: 1:500

მიწის ნაკვეთი:

სარეგისტრაციო № 2 9731/2005

საკადასტრო №	1	15	4	26/4
	ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი

თბილისი მთაწმინდა

მისამართი: გუდიაშვილის ქუჩა №2 (ყოფ. კეცხოველის ქუჩა №8)

თარიღი: 06.07.05წ.

ფართობი: 1129 კვ.მ.

მოსარგებლე: აბრამ ნანიკაშვილი, ეფრაიმ გური

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
თბილისის სარეგისტრაციო სამსახური

ნ. ბახტაძე
სახელმწიფო რეგისტრატორი



№4118-05 წ.

82-Г-4-8

- მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი
- არასაცხოვრებელი შენობა
- საცხოვრებელი შენობა
- უფლების დამადასტურებელი საბუთის გარეშე არსებული შენობა-ნაგებობა
- შენებ. — შენებადი ნაგებობა
- 1 — შენობის ნომერი
- ფარდული
- სატრანსფორმატორო ჯიხურები და ელექტრო ქვესადგურები
- სერვიტუტი
- რეზერ. — რეზერვუარი
- ბორდიური
- ღობე
- კედელი
- რკინიგზა
- მაღალი ძაბვის ელექტრო გადამცემი ხაზი
- ხეები
- სამეთვალყურეო ჭები

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი N 01.15.04.026.004

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882012215610 - 17/05/2012 16:03:20

მომზადების თარიღი
18/05/2012 11:58:15

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
თბილისი	მთაწმინდა		
01	**15**	**04**	**026/004**

მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა გუდიაშვილი , N 2 , (ყოფ. კეცხოველის ქ. N8)

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: საკუთრება
ნაკვეთის ფუნქცია: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1129.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: 26;
შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი: 1516.00

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882008066458 , თარიღი 13/03/2008 14:36:41
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 15/04/2008

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება N1-1580 , დამოწმების თარიღი:04/03/2008 ,ნოტარიუსი ე. გვანცელაძე

მესაკუთრეები:
შპს "ლიბინგი X X I" , ID ნომერი:204929532

მესაკუთრე: აღწერა:
შპს "ლიბინგი X X I"

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

ამონაწერში გექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე სარეგისტრაციო სამსახურში ან ,"ლიბერთი ბანკის" ნებისმიერ ფილიალში.

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი: 388899
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B11159720
ამონაწერის მომზადების თარიღი: 07/11/2011 14:54:14

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს ლიზინგი ოცდამეერთე
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის ვაკის რაიონში, ჭავჭავაძის გამზირი,39ა
საიდენტიფიკაციო კოდი:	204929532
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	14/05/1999
სახელმწიფო რეგისტრაციის ნომერი:	5/4-2041
მარეგისტრირებელი ორგანო:	ვაკე-საბურთალოს სასამართლო
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი ვაკე-საბურთალოს გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01015000529, დავით ჩხეტიანი,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
315864, კომპანია ფინსეკ ლიმიტედი, ვირჯინიის კუნძულები (ბრიტ.), , , 11.03.1999,	100.00000000%	204929532-SH-00002

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 25 15 27; 895 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

ავტოსადგომის (სარდაფის) სართულის გეგმა ნიშნულზე -3,15



ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი, დაპროეტება და ექსპერტიზა"		ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე №2 საოფისე შენობა	
დირექტორი	რ. მახვილაძე	დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინეს	ნ. მურჯიკნელი	ავტოსადგომის (სარდაფის) გეგმა ნიშნულზე -3,15	ფურც. 31
	რ. მახვილაძე		თბილისი 2014

პირველი სართულის გეგმა ნიშნულზე 0,00



ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი, დაპროექტება და ექსპერტიზა"		ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე №2 საოფისე შენობა	
დირექტორი	რ. მახვილაძე	დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინეს	ნ. მურჯიკნელი	პირველი სართულის გეგმა ნიშნულზე 0,00	ფურც. 32
	რ. მახვილაძე		თბილისი 2014

GEORGIA. INDIVIDUAL ENTERPRISE REVAZI MAKHVILADZE

ანტრესოლის სართულის გეგმა ნიშნულზე +3,00



ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომფფექტი, დაპროექტება და ექსპერტიზა”		ქ. თბილისი, ლ. გუდიაშვილის ქუჩაზე №2 საოფისე შენობა	
დირექტორი	რ. მახვილაძე	დემონტაჟის ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინეს	ნ. მურჯიკნელი	ანტრესოლის სართულის გეგმა ნიშნულზე +3,00	ფურც. 33
	რ. მახვილაძე		თბილისი 2014

საპროექტო ჭრილი 1–1



შპს "საქართველოს ინდივიდუალ მეწარმეთა ასოციაცია" GEORGIA INDIVIDUAL ENTERPRISE ASSOCIATION LTD 01023033893 რევაზი მახვილაძე

საოფისე შენობის ამჟამად ამოყვანილი სადემონტაჟო ანტრესოლის, პირველი სართულის, მიწაში ჩაღრმავებული ავტოსადგომების, კარკასის კონსტრუქციებისა ასევე მიწაში ჩაღრმავებული სართულის კედლების ტექნიკო-ეკონომიკური მაჩვენებლებია:

– მიწის ნაკვეთის ფართი – 1129 მ²;

– მოშენების ფართი – 1059,17 მ²;

– მიწაში ჩაღრმავებული ავტოსადგომის ფართი – 941,13 მ²;

– არქირექტურული ნახაზების მიხედვით I სართულის ფართია – 987,67 მ²;

– ანტრესოლის საერთო ფართი „მეორე სინათლის" ფართის გამოკლებით – 868.34 მ²;

– სადემონტაჟო მშენებლობით დაუმთავრებელი შენობის საერთო ფართობი – 2797.14 მ²;

– მათ შორის 0.00 ნიშნულს ქვევით – 941.13 მ²;

– შენობის სადემონტაჟო ნაწილის კონსტრუქციული სიმაღლე – 6,9 მეტრია;

- 0,00 ნიშნულს ქვევით – -3,9 მეტრი
- 0,00 ნიშნულს ზევით – 3,0 მეტრი.

ი/მ „რევაზ მახვილაძე, მშენეკონომეფექტი, დაპროექტება და ექსპერტიზა"			ქ. თბილისში, გუდიაშვილის ქუჩაზე №2 საოფისე შენობა	
დირექტორი	რ. მახვილაძე		სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი	სტადია მპ
შეადგინეს	ნ. მურჯიკნელი		ჭრილი 1-1	ფურც. 34
	რ. მახვილაძე			2014

